

ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები

ნაწილი 1: ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკის შესავალი პროფესიონალი ბუღალტრებისთვის



რა არის ფულის გათეთრება?

ფულის გათეთრება არის პროცესი, რომლის მეშვეობით „შავი“ ფული გადაიქცევა ისეთ სახსრებად, რომელიც კანონიერი ჩანს და ამიტომ შეიძლება ისე დაიხარჯოს, თითქოს ლეგალური წყაროებიდან იყოს მიღებული. ფულის გათეთრება ლეგიტიმურს ხდის დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავალს და საშუალებას აძლევს ნარკომოვაჭრებს, ადამიანთა მოვაჭრე პირებსა და სხვა კრიმინალურ დაჯგუფებებს, რომ გაფართოვდნენ და სარგებელი მიიღონ თავიანთი საქმიანობიდან. შეფასებულია, რომ ფულის გათეთრების პოტენციური წლიური მასშტაბი შეიძლება აღემატებოდეს 1 ტრილიონ აშშ დოლარს გლობალურ დონეზე.*

* გაეროს ნარკოტიკებთან და სხვა დანაშაულებთან ბრძოლის ოფისი

რა სახელმძღვანელოა ეს?

ეს სერიული გამოცემა განკუთვნილია პროფესიონალი ბუღალტრების დასახმარებლად, რათა მათ უფრო საფუძვლიანი წარმოდგენა შეიქმნან იმის თაობაზე, როგორ მუშაობს პრაქტიკაში ფულის გათეთრება, რა სახის რისკები ემუქრებათ მათ და რის გაკეთება შეუძლიათ ამ რისკების შესამცი-რებლად და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საქმეში თავიანთი დადებითი წვლილის შესა-ტანად.

ეს სახელმძღვანელო შექმნილია იმ მიზნით, რომ იყოს ხელმისაწვდომი და ადვილად გამოსაყენებელი. მასასადამე, შეუძლებელია, იგი მოიცავდეს ყველა საკითხს ან ადგილობრივ მოთხოვნას. სამაგიეროდ, ეხება პროფესიონალი ბუღალტრებისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

როგორ უკავშირდება ეს საკითხი ბუღალტრებს?

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა არ ნიშნავს მხოლოდ კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დაცვას. ეკონომიკური დანაშაული, მათ შორის ფულის გათეთრება, ბევრად მეტ ადამიანს აზარალებს და უფრო ხშირად, ვიდრე ნებისმიერი სხვა საფრთხე, რომელიც ადამიანთა უსაფრთხოებას ემუქრება. ფულის გათეთრება ანადგურებს ფართო საზოგადოებას, ძვირადღირებულ ქონებაში ჩადებულ უკანონო ინვესტიციებით თუ ღარიბ უბნებში ნარკოტიკებთან დაკავშირებული ძალადობით, ან იმ ტრავმით, რომელიც გამოწვეულია ადამიანებით ვაჭრობით ან ადამიანთა მონობის თანამედროვე საშუალებებით. დამნაშავეები ექსპლუატაციას უწყევენ, თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ ჩვენი საზოგა-დოების ყველაზე დაუცველი ფენის წარმომადგენლებს და ჩვენს ქუჩებში შემოაქვთ უკანონო ნარკო-ტიკები და ძალადობა, რაც დიდ ზიანს აყენებს საზოგადოებრივ წყობას.

ჩვენ, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი პროფესიის წარმომადგენლებმა, ჩვენი წილი როლი უნდა შევასრულოთ ჩვენი საზოგადოების დაცვის საქმეში.

როგორც ფინანსური სისტემის „ალაყის კარის დარაჯი“, პროფესიონალი ბუღალტერი დგას თავდაცვის პირველ ხაზზე, რათა ხელი შეუშალოს ამ უკანონო სახსრების გამოყენებას ეკონომიკაში.

რა არის ფულის გათეთრების რისკი?

ფულის გათეთრება პროფესიონალ ბუღალტრებს სამი ძირითადი რისკის წინაშე აყენებს. **ბუღალტრები შესაძლებელია:**

- გამოიყენონ ფულის გასათეთრებლად (მაგ., საბანკო ანგარიშზე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლის შენახვით ან ბუღალტრის ჩართვით ისეთ შეთანხმებაში, რომელიც შენიღბავს დანაშა-ულებრივი შემოსავლების ბენეფიციარულ საკუთრებას);
- გამოიყენონ სხვა პირის მიერ განხორციელებული ფულის გათეთრების ხელშესაწყობად (მაგალითად, ფულის გასათეთრებლად სპეციალური კორპორაციული მექანიზმის შექმნით და სხვ.);
- დაზარალდნენ სამართლებრივი, მარეგულირებელი ან რეპუტაციის შემლახველი შედეგებისგან იმის გამო, რომ დამკვეთი (ან მისი პარტნიორი ან პარტნიორები) მონაწილეობს ფულის გათეთრებაში, რომელმაც ვერ შეამჩნია საფრთხის მაუწყებელი ნიშანი და ვერ შეძლო ინფორმირება ამის თაობაზე.

როგორ მუშაობს ფულის გათეთრება?

ფულის გათეთრება მუშაობს უკანონო საქმიანობიდან შემოსავლების მიღებითა და შესაბამისი დანაშაულისგან მათი გამოცალკევებით. კერძოდ, თანხების განთავსებით, დანაწევრებითა და შემდეგ ლეგიტიმურ ფინანსურ სისტემაში ინტეგრაციით.

განთავსება

ფულის გათეთრებელს უკანონოდ მიღებული მოგება შემოაქვს ფინანსურ სისტემაში. ეს შეიძლება გაკეთდეს დიდი ოდენობის ნაღდი ფულის დაშლით უფრო მცირე სიდიდის ნაკლებად თვალსაჩინო თანხებად, რომლებსაც შემდეგ პირდაპირ საბანკო ანგარიშებზე შეიტანენ, ან მთელი რიგი ფულადი ინსტრუმენტების შექმნის გზით (ჩეკები, ფულადი გზავნილები და ა.შ.), რომლებიც შემდეგ შეგროვდება და შეიტანენ მრავალი ბანკის ანგარიშებზე. შესაძლებელია შემდეგი მეთოდების გამოყენება:

- ვალუტის & ნომინალის შეცვლა
- ნაღდი ფულის ტრანსპორტირება
- საბანკო დეპოზიტები.

დანაწევრება

ფულის გათეთრებელი ჩართულია კონვერტაციისა და ფულის მოძრაობის მრავალ ოპერაციაში, რათა ფულადი სახსრები წყაროს დააშოროს. თანხების სამომხროდ შესაძლებელია ყიდვა-გაყიდვის საინვესტიციო ინსტრუმენტების გამოყენება, ან გათეთრებელმა შეიძლება თანხები უზრაოდ გადარიცხოს მრავალ ანგარიშზე მსოფლიოს სხვადასხვა ბანკში. ფულის გასათეთრებლად ფართოდ დაქსაქსული ანგარიშების გამოყენება განსაკუთრებით გავრცელებულია იმ იურისდიქციებში, რომლებიც არ თანამშრომლობენ ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ საქმეთა გამოძიებაში. ზოგიერთ შემთხვევაში, ფულის გათეთრება შეიძლება შეინიღბოს, როგორც საქონლის ან მომსახურებისთვის გადასახდელი თანხების გადარიცხვა და ამგვარად მიენიჭოს მათ ლეგიტიმური გარეგნული სახე. შესაძლებელია შემდეგი მეთოდების გამოყენება:

- საბანკო გადარიცხვები
- თანხის განაღდება
- ანგარიშების დაყოფა/დანაწევრება და შემდეგ გაერთიანება.

ინტეგრაცია

უკანონო სახსრები კვლავ შემოდის ლეგიტიმურ ეკონომიკაში. თანხები შეიძლება დაბანდდეს უძრავ ქონებაში, ფუფუნების საგნებში და სხვადასხვა ბიზნესში. შესაძლებელია შემდეგი მეთოდების გამოყენება:

- ფიქტიური სესხები / ბრუნვა / ხელშეკრულებები
- აქტივების ფლობის შენიღბვა
- მესამე მხარის გარიგებებში გამოყენება.

ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკასთან დაკავშირებული მთავარი ცნებები პროფესიონალი ბუღალტრებისთვის

მომხმარებლის ან დამკვეთის დიუ დილიჯენსი

დამკვეთის დიუ დილიჯენსის (CDD) მიზანია დამკვეთის ვინაობისა და მისი სამეწარმეო საქმიანობის შესწავლა და გააზრება და ამ ინფორმაციის გამოყენება იმ რისკის შესაფასებლად, რომ დამკვეთი შესაძლოა მოწაწილობდეს ფულის გათეთრებაში, ან ცდილობდეს ბუღალტრის გამოყენებას ამგვარ საქმიანობაში დასახმარებლად.

პოლიტიკური ფიგურა

პოლიტიკური ფიგურა პირი, რომელსაც ევალება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულება, როგორცაა, მაგალითად პოლიტიკოსი ან სახელმწიფო ორგანიზაციის ხელმძღვანელი. მათთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის შესაძლებელია საჭირო გახდეს დამატებითი დიუ დილიჯენსის ჩატარება მოსყიდვის/მოქრთამების ან კორუფციის რისკებიდან გამომდინარე.

მუდმივი მონიტორინგი

ახალი დამკვეთების მიმართ დიუ დილიჯენსის შესრულებასთან ერთად, მნიშვნელოვანია მუდმივი დამკვეთების შესახებ მოძიებული ამგვარი ინფორმაციის განახლება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იცვლება დამკვეთის საკუთრების სტატუსი/მფლობელობა ან მისი საქმიანობა. მრავალ იურისდიქციაში ეს არის ერთ-ერთი მარეგულირებელი მოთხოვნა.

ინფორმირება საეჭვო საქმიანობის შესახებ

ზოგიერთ ქვეყანაში პროფესიონალ ბუღალტრებს კანონით ევალებათ ფინანსური გამოძიების დეპარტამენტისთვის ინფორმაციის მიწოდება ფულის გათეთრებაზე ეჭვების შესახებ. ამ ანგარიშებს ხშირად უწოდებენ საეჭვო საქმიანობის ანგარიშებს.

რას ამზობს ფულის გათეთრებაზე პროფესიონალი ბუღალტრების საერთაშორისო ეთიკის კოდექსი?

პროფესიული ქცევის პრინციპი პროფესიონალ ბუღალტრებს ავალდებულებს შესაბამისი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დაცვას. ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ეთიკის კოდექსში კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებული დებულებები პროფესიონალი ბუღალტრებისთვის ადგენს ეთიკურ ვალდებულებას, არ დამალონ/გაამხილონ, თუკი მათთვის ცნობილი გახდება ინფორმაცია კანონმდებლობის დარღვევის ან საეჭვო დარღვევის შემთხვევის შესახებ, მათ შორის ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ **IESBA NOCLAR Factsheet**, აგრეთვე IFAC-ისა და IESBA-ს სერიული გამოცემის „**კოდექსის გამოკვლევა**“ მე-8 და მე-9 ნაწილები, რომელიც განკუთვნილია ბუღალტრთა ცოდნისა და ცნობიერების ასამაღლებლად.

დამტებითი დახმარება



ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ზოგადი მითითებების გასაცნობად იხილეთ Financial Action Task Force-ის „**სახელმძღვანელო მითითებები ბუღალტრების პროფესიის რისკზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ**“. ეთიკასთან დაკავშირებული საკითხებისთვის იხილეთ **ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსი**, ხოლო ადგილობრივი დეტალური ინფორმაციის მისაღებად, შესაბამისი მარეგულირებელი მოთხოვნების ჩათვლით, დაუკავშირდით ბუღალტრთა პროფესიულ ორგანიზაციას, რომლის წევრიც ხართ.



529 Fifth Avenue, New York 10017
www.ifac.org | +1 (212) 286-9344 | @ifac | company/ifac



www.icaew.com
@icaew | company/icaew

ბულალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 1: ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკის შესავალი პროფესიონალი ბულალტრებისთვის“ - ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბულალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC თავის თავზე არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე არც მისგან გამომდინარე ნებისმიერ ქმედებაზე.

„ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 1: ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკის შესავალი პროფესიონალი ბულალტრებისთვის“ - ინგლისურენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 1: ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკის შესავალი პროფესიონალი ბულალტრებისთვის“ - ქართულენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

სათაური ინგლისურ ენაზე: *Anti-money laundering: The Basics – Installment 1: Introduction to Anti-Money Laundering for Professional Accountants*

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს: Permissions@ifac.org